

ქალებზე, მშვიდობასა და
უსაფრთხოებაზე,
გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების
შესახებ, საქართველოს 2018-2020 წლების
ეროვნული სამოქმედო გეგმის
მონიტორინგის ანგარიში

მიზნები და რეკომენდაციები



საქართველოს სახალხო დამცველი

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს.

გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

სარჩევი

შესავალი	4
1. მეთოდოლოგია	5
2. ძირითადი მიგნებები	6
2.1. ქალთა მონაწილეობა უსაფრთხოების სექტორსა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში	6
2.2. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების მონაწილეობა კონფლიქტის პრევენციასა და გადაჭრაში	7
2.3. ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაცია	8
2.4. უსაფრთხოება და რისკების პრევენცია	8
2.5. გენდერული ნიშნით ძალადობა	9
2.6. უსაფრთხოების სექტორში დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება	10
2.7. საჯარო სერვისებზე წვდომა	10
2.8. ფსიქოლოგიური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა	11
2.9. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების განათლება	11
2.10. ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერება	13
3. კორონავირუსის პანდემიის გავლენა დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და გოგონებზე	14
4. ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების შესრულების შეფასება	16
5. რეკომენდაციები	23

შესავალი

გაეროს უშიშროების საბჭომ, პირველი №1325 რეზოლუცია „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“, 20 წლის წინ მიიღო და მისი მიღებით აღიარა ქალებისა და გოგოების მნიშვნელოვანი მონაწილეობა უსაფრთხოების, მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის მოგვარების პროცესებში. ამ რეზოლუციამ საფუძველი ჩაუყარა ცხრა დამატებითი რეზოლუციის სერიას,¹ რომელიც ასევე უთმობს ყურადღებას ქალთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას, მათ დაცვას, წვდომას საჯარო სერვისებზე, ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის თავიდან აცილების საკითხებს.

ამ რეზოლუციების შესრულების მიზნით, საქართველოში 2011 წელს პირველად დამტკიცდა ეროვნული სამოქმედო გეგმა,² ხოლო 2018 წლის 10 აპრილს საქართველოს მთავრობის №173 დადგენილებით, უკვე მესამედ, შევიდა ძალაში „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა.³

საქართველოს სახალხო დამცველი, მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, მონიტორინგს უწევს ეროვნულ სამოქმედო გეგმას, რომლის მიზანია ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეფასება, ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა.

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში, კვლავ გამოწვევად რჩება ქალთა თანაბარი მონაწილეობა მშვიდობის, უსაფრთხოებისა და შერიგების პროცესებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებით, ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში, რომელმაც კიდევ უფრო დაამძიმა და საფრთხე შეუქმნა ქალთა მონაწილეობას მშვიდობისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში.

ამასთანავე, ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში გაიზარდა ქალებისთვის საოჯახო საქმეებზე განეული აუნაზღაურებელი შრომის ტვირთი. რისკის ქვეშ დადგა ქალთა ეკონომიკური კეთილდღეობა და გაიზარდა გენდერული ნიშნით ძალადობა.

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიშში წარმოდგენილია მონიტორინგის ძირითადი მიგნებები, ინდიკატორების შეფასების მაჩვენებელი თანმდევნი რეკომენდაციებით. ვიმედოვნებთ, რომ შემუშავებული რეკომენდაციები უწყებებს დაეხმარება მომდევნო ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, უკეთესად დაანახვებს იმ ხარვეზებსა და გამოწვევებს, რაც 2018-2020 წლებში გეგმის შესრულების პროცესში გამოვლინდა. ამასთანავე, ყურადღებას გაამახვილებს კორონავირუსის პანდემიის პერიოდში წარმოქმნილ პრობლემებზე, პროაქტიული ნაბიჯები გადაიდგმება დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების დასაცავად და დასახმარებლად.

1. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები მისაწვდომია: <http://www.peacewomen.org/why-WPS/solutions/resolutions>

2. საქართველოს მთავრობის დადგენილება №173; 2018 წლის 10 აპრილი; ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №173; 2018 წლის 10 აპრილი; ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

1. მეთოდოლოგია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, 2020 წლის სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ფარგლებში, შეაფასა უწყებების მიერ შესრულებული აქტივობები და მათი გავლენა სამიზნე ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, კორონავირუსის პანდემიის პირობებში, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების მდგომარეობა.

მონიტორინგის **პირველ ეტაპზე** ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებებიდან გამოვითხოვეთ წერილობითი ინფორმაცია.

მეორე ეტაპი ითვალისწინებდა სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლებთან შეხვედრებს, სხვადასხვა ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებით.⁴ გაიმართა შეხვედრები თვითმმართველ ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დევნილ და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან და გოგონებთან.

მონიტორინგის **მესამე ეტაპზე** გაანალიზდა და დამუშავდა უწყებების მიერ მოწოდებული და საინფორმაციო შეხვედრებზე მიღებული ინფორმაცია, მომზადდა გეგმის შესრულების ანგარიში და შემუშავდა თანმდევნი რეკომენდაციები.


4. პანდემიის შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეხვედრები ჩატარდა დისტანციურად.

2. ძირითადი მიზნები

2.1. ქალთა მონაწილეობა უსაფრთხოების სექტორსა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში

ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების საანგარიშო პერიოდში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემუშავდა სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემა, ასევე დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს უწყებაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვასა და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავ არ შეუმუშავებიათ მსგავსი სისტემა და არ დაუმტკიცებიათ გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დოკუმენტი,⁵ რაც უწყებაში გენდერული მენისტრიმინგისა და საკადრო პოლიტიკის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელმძღვანელ პოზიციაზე დასაქმებული ქალების რაოდენობა 2018-2020 წლებში გაიზარდა, თუმცა კვლავ კრიტიკულად დაბალია და 6%-დან 7%-მდე მერყეობს.⁶ ხოლო თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში ხელმძღვანელ პოზიციაზე დღეის მდგომარეობით 33% ქალია, რაც გასული წლის მონაცემს 10%-ით აღემატება.



დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სამხედრო ატაშეს პოზიციებზე კვლავ არ არიან ქალები წარმოდგენილი.⁷ ასევე, საანგარიშო პერიოდში არ გაზრდილა სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა წარმომადგენლობა, რომლის მაჩვენებელი 2018-2020 წლებში 33%-20%-ს შორის მერყეობდა.⁸

ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეების, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით,⁹ გაიმართა 4 შეხვედრა, რომელთა მიზანიც იყო შეხვედრის მონაწილეთა ინფორმირება სამშვიდობო მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ. ინციდენტების პრევენცი-

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ყველა დაინტერესებულ მხარეს აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებით.

6. ინდიკატორი 1.1.დ. ბაზისი: თავდაცვის სამინისტრო - 32%; შინაგან საქმეთა სამინისტრო - 3%.

7. დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სამხედრო ატაშეს პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ხელშეწყობად, თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გადახედვა და შესაბამისი სასწავლო პროგრამების მოქმედება/დამუშავება. წერილი MOD 0 20 01016132; 06.11.2020.

8. ეს მონაცემი დამოკიდებულია კონკრეტულ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა სქესზე.

9. საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი №01/28870; 03.11.2020.

ისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში, 2018-2019 წლებში გაიმართა 6 შეხვედრა. ვინაიდან საოკუპაციო რეჟიმის დესტრუქციული მიდგომის გამო, ამ დრომდე შეწყვეტილია გალში ზემოაღნიშნული მექანიზმი, ხოლო ერგნეთში 2020 წლის აგვისტოში აღდგა, მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა კონფლიქტით დაზარალებული ქალების, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით.¹⁰

ამ შეხვედრების მიუხედავად, საყურადღებოა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, მათთვის უცნობია, თუ რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესში დასახელებული პრობლემების მოგვარების მიზნით. ამასთანავე, მიაჩნიათ, რომ მოლაპარაკებების პროცესში ჩართულ პირებთან შეხვედრებს, უნდა ჰქონდეს საკონსულტაციო, ანგარიშვალდებულების ხასიათი.

გასულ წელთან შედარებით, შემცირებულია სახალხო დიპლომატიის ინიციატივების მაჩვენებელი.¹¹ 2018-2020 წლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა თანხმობა გასცა 161 პროექტზე ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით, საიდანაც 22 პროექტი მოიცავდა ქალთა საკითხებს ან წარდგენილი იყო ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ამასთანავე, უწყებათაშორისმა კომისიამ და სამთავრობო უწყებებმა, 2018-2020 წლებში განახორციელეს პროექტი „სასწავლო კურსი - როგორ დავიწყოთ ბიზნესი“, რომელიც მონაწილეებში ლიდერის უნარ-ჩვევების გაძლიერებას ისახავდა მიზნად.¹² ასევე გაიმართა 12 გაცვლითი საკონსულტაციო შეხვედრა, სადაც ლიდერობის საკითხებთან ერთად განიხილეს ძალადობის საკითხები, სერვისები და რეფერირების მექანიზმები.¹³

აღსანიშნავია ქალთა პრიორიტეტებზე მიმართული პროექტების სიმცირე. გარდა ამისა, უცნობია, თუ რა გავლენა იქონია მოსახლეობაზე ამ პროექტებმა, შესაბამისად, ვერ ფასდება პროექტების შედეგები და მიზნობრიობა.

2.2. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების მონაწილეობა კონფლიქტის პრევენციასა და გადაჭრაში

კონფლიქტით დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების ჩართულობით, უწყებებმა, რეგულარული დიალოგის მექანიზმის შესაქმნელად და მიზნობრივი პროგრამების დასაწერგად, არაერთი შეხვედრა გამართეს, თუმცა სახალხო დამცველის აპარატის მიერ დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან გამართული შეხვედრებიდან ნათელი გახდა, რომ რიგ სოფლებში, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებს არ აქვთ ინფორმაცია ამ შეხვედრებზე, შესაბამისად, მუნიციპალიტეტებისა და უწყებების სამუშაო დღის წესრიგში მათთვის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხების დაყენება ვერ ხერხდება.¹⁴

10. სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი №1309; 27.10.2020.

11. 2018 წელს დაფინანსდა 10 პროექტი - 15%, 2019 წელს 11 პროექტი - 17%, ხოლო 2020 წელს მხოლოდ 4 - 13%.

12. 2018 წელს გადამზადდა კონფლიქტით დაზარალებული 17 ქალი (ზუგდიდი - 14, გალი - 4). 2019 წელს გადამზადდა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული 16 ქალი (ნალენჯიხა - 13, გალი - 3). 2020 წელს გადამზადდა 12 ქალი (გორი, კასპი, ხაშური, ქარელი).

13. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი GOV 0 20 00057127; 30.12.2020.

14. პერევი, ერგნეთი, ნაკრა, ჭუბერი, მაზირი.

კვლავ უცვლელია მდგომარეობა მუნიციპალიტეტების მიერ ჩატარებული შეხვედრების მიმართულებით, რომლებშიც დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები ნაკლებად მონაწილეობენ, რის მიზეზადაც ასახელებენ უნდობლობას, და მიაჩნიათ, რომ მათ სასიკეთოდ ქმედითი ნაბიჯები კვლავ არ გადაიდგმება.¹⁵ შედეგად, შეუძლებელია დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების სპეციფიკური საჭიროებებისა და პრობლემების გამოვლენა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა.

მოლაპარაკებების პროცესში დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა საჭიროებების, პრიორიტეტებისა და რეკომენდაციების განხილვის მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველისთვის კვლავ უცნობია, გაითვალისწინეს თუ არა რეკომენდაციები და გადაიდგა თუ არა კონკრეტული ნაბიჯები დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

2.3. ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაცია

2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ლოკალიზაციის პროცესი იყო, რაც გულისხმობს აქტიურ თანამშრომლობას სამიზნე მუნიციპალიტეტებთან¹⁶, რომლებიც „გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ კოორდინირებულ ლოკალიზაციის პროცესში შეირჩა. ამ პროცესის მიზანი იყო, ხელი შეეწყო არსებული პოლიტიკის ადგილობრივ დონეზე განხორციელებისთვის.

საქართველოს სახალხო დამცველმა ეროვნული სამოქმედო გეგმის შუალედურ ანგარიშში დადებითად შეაფასა ლოკალიზაციის პროცესში ჩართული მუნიციპალიტეტების ცოდნა და მზაობა სხვადასხვა აქტივობის მიმართულებით, თუმცა ადგილობრივ დონეზე კონკრეტული ღონისძიებები და აქტივობები კვლავ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა განახორციელეს.

კვლავ პრობლემურია ინფორმირებულობა მოსახლეობაში გენდერული თანასწორობის საბჭოებისა და მათი ფუნქციის შესახებ. განსაკუთრებით კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებები არავის შეუსწავლია და არც ქმედითი ნაბიჯები გადაუდგამს.

2.4. უსაფრთხოება და რისკების პრევენცია

გასული წლის მსგავსად, კვლავ არ შემუშავებულა გენდერულად მგრძობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტები.¹⁷ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში

15. ნაკრა, ჭუბერი, მაზირი.

16. ლოკალიზაციის პროცესში შერჩეული მუნიციპალიტეტები: დუშეთი, გორი, ქარელი, კასპი, ხაშური, საჩხერე, სტეფანწმინდა, წალენჯიხა, წყალტუბო, ზუგდიდი.

17. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, პროექტის, „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“, იგეგმება ეროვნული და ადგილობრივი ინტეგრირებული ადრეული შეტყობინების სისტემების შემუშავება, რის შემდეგაც შეიმუშავებენ და მიიღებენ შესაბამის სამართლებრივ აქტებს. MIA 2 20 02531473; 26.10.2020.

მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით, ქალების და ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლამ, ძირითადად ინფრასტრუქტურული პრობლემები გამოკვეთა, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, მოგვარდა.¹⁸ თუმცა, რიგ სოფლებში კვლავ პრობლემურია, ტრანსპორტზე, ინტერნეტზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე წვდომა.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის თქმით, უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მათი ცნობიერების ამაღლებაზე არავის უზრუნია, ისინი თავად ფლობენ ინფორმაციას, თუ რომელ ტერიტორიაზეა მათთვის უსაფრთხო გადაადგილება, შეძლებისდაგვარად თავად არიან თავს უკანონო დაკავებების შემთხვევებს, რაც ბოლო წლების განმავლობაში, მათი თქმით, საკმაოდ შემცირებულია.¹⁹

გეგმის შესრულების საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სხვადასხვა უწყებასთან თანამშრომლობით, ქალთა, არასრულწლოვანთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე, 12 გასვლითი შეხვედრა გამართა, რამაც, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმირებულობის დონე სოფლად მცხოვრებ ქალებსა და გოგონებში ცალსახად აამაღლა.

2.5. გენდერული ნიშნით ძალადობა

უწყებების მხრიდან ძალადობის თემატიკაზე ჩატარებულმა საინფორმაციო შეხვედრებმა მოსახლეობაში, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ, ცნობიერება აამაღლა, თუმცა კვლავ ვლინდება სტერეოტიპული შეხედულებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით, რაც, თავისთავად, დაკავშირებულია სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის სიმცირესთან.

კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) რეაბილიტაციის კონცეფცია ამ ეტაპისთვის ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული.²⁰

დადებითად უნდა აღინიშნოს რიგ მუნიციპალიტეტებში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ღონისძიებები, თუმცა გარკვეულ მუნიციპალიტეტებში ამგვარი სერვისების არარსებობას, მიმართვიანობის სიმცირეს უკავშირებენ.²¹

18. სოფელ ჩორჩანაში გზა შეაკეთეს.

19. პერევი, ერგნეთი, ნაკრა, ქუბერი, მაზირი.

20. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რეფერირების პროცედურებზე. დოკუმენტს ექნება უნივერსალური ხასიათი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) რეაბილიტაციის საკითხები.

21. ქარელის მუნიციპალიტეტი.

2.6. უსაფრთხოების სექტორში დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება

დადებითად უნდა აღინიშნოს უწყებებში დასაქმებულთა გადამზადება გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების/ძალადობისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების საკითხებზე. შინაგან საქმეთა სამინისტროში გადამზადდა 12 000-ზე მეტი თანამშრომელი, ხოლო თავდაცვის სამინისტროში - 5000-მდე სამხედრო მოსამსახურე.²² ამასთანავე, შემუშავებულია სხვადასხვა სასწავლო კურსი და მოდული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

ასევე დადებითად უნდა აღინიშნოს, ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება გადასროლის წინა მომზადების და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესებში, რაც სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს ფსიქოლოგიური კონსულტაციის/თერაპიის შესაძლებლობას აძლევს.

ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დასაქმებულია 20 გენდერის მრჩეველი, რომელთა ფუნქციებიც განსაზღვრულია, თუმცა მრჩეველების სამუშაო აღწერის დამტკიცება უწყებაში არ იგეგმება.²³

2.7. საჯარო სერვისებზე წვდომა

იურიდიული დახმარების სამსახურმა, 2018-2020 წლებში, კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან და გოგოებთან არაერთი შეხვედრა გამართა.²⁴ ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების საანგარიშო პერიოდში²⁵ საგრძნობლად გაიზარდა უფასო იურიდიული კონსულტაციების რიცხვი, 65 788 პირს გაენიჭა კონსულტაცია, აქედან 40 888 ქალი იყო, ხოლო 24 3030 - კაცი.

ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, ინფორმაციის მისაწოდებლად და მათი საჭიროებების შესასწავლად, 23 შეხვედრა გამართა დევნილ და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალებთან. გარდა ამისა, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში, 2019 წელს ამოქმედდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ჯანდაცვისა და სოციალური საჭიროებების განსაზღვრის მიზნით გამართა 40 შეხვედრა.²⁶ თუმცა, სახალხო დამცველის მიერ გამართულ შეხვედრებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური და ჯანდაცვის სერვისებზე ინფორმირებულობა, დევნილ ქალებსა და გოგოებში, კვლავ დაბალია.

22. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომელიც მიემართებოდა უწყებაში ტრენინგების ეფექტიანობის შედეგების გაზომვის მექანიზმის დანერგვას, შსს-ს ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი ზედამხედველობას უწევს გამოძიების ხარისხს, აფასებს გამოძიებლების მიერ ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში შესრულებას. ტრენინგების ფარგლებში გამოიყენება პრე და პოსტ ტესტები სასწავლო აქტივობის განმავლობაში მიღებული ცოდნის შესამოწმებლად.

23. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი MOD 0 20 01016132; 06.11.2020.

24. 2018 წელს ჩატარდა 23 შეხვედრა. 2019 წელს 17 შეხვედრას დაესწრო 151 ქალი და 120 კაცი. ხოლო 2020 წელს 15 შეხვედრას დაესწრო 156 ქალი და 362 კაცი.

25. 2018-2020 წელი.

26. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი GOV 0 20 00057127; 30.12.2020.

დადებითად უნდა შეფასდეს მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამები, რომლებიც მიმართულია მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლებისკენ, და გულისხმობს როგორც ფინანსური, ისე საკვებისა და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას, თუმცა აქაც ვაწყდებით ინფორმირებულობის დაბალ დონეს საზოგადოებაში, რაც, თავისთავად, ამცირებს მოსახლეობისთვის სხვადასხვა პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობას.

2.8. ფსიქოლოგიური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა

ფსიქოლოგიის მომსახურებაზე წვდომასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, ეს საკითხი კვლად დიდ პრობლემად რჩება. ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისთვის სპეციფიკური ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები არ შეუთავაზებიათ. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარეობს მუშაობა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებები.²⁷

რიგ სოფლებში კვლავ პრობლემურია სამშობიაროებსა და კეთილმოწყობილ ამბულატორიებზე წვდომა, ექიმების არასაკმარისი რაოდენობა.²⁸ განსაკუთრებით საგანგაშოა გინეკოლოგიის სერვისით სარგებლობა, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ დიდ ქალაქებში, რაც ტრანსპორტის პრობლემასა და ქალაქში საცხოვრებლის არარსებობას უკავშირდება.

დადებითად ფასდება შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო რეფერალური პროგრამით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები პირების ჯანდაცვის სერვისებით უფასო მომსახურება.²⁹ თუმცა, მიმდინარე წელს, ამ სერვისებით სარგებლობას ხელი შეუშალა კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებულმა შეზღუდვებმა.³⁰

2.9. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების განათლება

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სამშვიდობო განათლების, სამოქალაქო თავდაცვის, უსაფრთხოებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპების საკითხების ინტეგრირებას. ამასთანავე, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პრაქტიკას. თუმცა სვანეთის

27. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/14213; 12.11.2020.



28. ერგნეთი, ზარდიაანთკარი, ჩორჩანა, ქარელი, მეტეხის დევნილთა დასახლება. სოფელ პერევი სამშობიარო და ამბულატორია მოწესრიგებულია.

29. საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი №1309; 27.10.2020. ამ სერვისით ისარგებლა 2018 წელს - 790 ქალმა; 2019 წელს - 789 ქალმა; 2020 წელს - 402 ქალმა.

30. ორკვირიანი საკარანტინო სივრცეში ყოფნის ვალდებულება; გამშვები პუნქტების ჩაკეტვა.

რეგიონის მოსახლეობა,³¹ მათ შორის პედაგოგები, არ ფლობს ინფორმაციას ზემოხსენებული პროგრამის შესახებ, რაც, თავისთავად, ზღუდავს მოსწავლეთა უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, უწყვეტად მიმდინარეობს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების დაფინანსება, მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში.³²



საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიას, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის მიმართა 34-მა დაბრუნებულმა მიგრანტმა, მათ შორის, 29 ქალმა, რამაც პროცენტულად მთლიანი რაოდენობის 85,3% შეადგინა.³³ „პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, სატრანსპორტო მომსახურებით, 2018-2020 წლებში, უზრუნველყოფილი იქნა 524 დევნილი, მათ შორის, 263 ქალი (50.19%).

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან სტუდენტების დაფინანსებისა, პრობლემად დასახელდა ფინანსური დახმარების რაოდენობრივი მაჩვენებლის კვოტა,³⁴ კომპიუტერებსა (განსაკუთრებით მრავალ-

31. სვანეთის რეგიონში შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან: სოფელი ნაკრა, ქუბერი, მაზირი (ბეჩოს თემი).
 32. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 4 20 0001121002; 25.11.2020.
 33. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/14213; 12.11.2020.
 34. შეხვედრა სოფელ პერევეში - საოკუპაციო ხაზის ახლომდებარე სოფლებში მცხოვრები მოსწავლეები, სკოლის დამამთავრებელ კლასებში სწავლას განაგრძობენ სოფელ პერევის სკოლებში, შესაბამისად, თავად პერევეში მცხოვრებ მოსწავლეთათვის ამ პროგრამით სარგებლობა იზღუდება, ვინაიდან, დაწესებული კვოტირებიდან გამომდინარე, მხოლოდ 5 მოსწავლის დაფინანსებაა შესაძლებელი.

ვალშვილიან ოჯახებში) და ინტერნეტზე წვდომის პრობლემა, ასევე, სტუდენტების საცხოვრებლის პრობლემა.³⁵

2.10. ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერება

მონიტორინგის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ უწყებებმა, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, არაერთი ტრენინგი ჩაატარეს. მიუხედავად ამისა, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან შეხვედრებზე, კვლავ პრობლემად დასახელდა ტრენინგზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც უკავშირდება მინისა და ფინანსების არარსებობას. ამასთანავე, პრობლემურია კურსებითა და პროფესიული სასწავლებლებით სარგებლობა, რადგან სასწავლებლები ძირითადად განლაგებულია დიდ ქალაქებში, რაც ტრანსპორტისა და სხვა დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

რიგ შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციის თანახმად, ქალებს არ აქვთ წვდომა აგრო და მცირე ბიზნესზე, არ ფლობენ ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამების შესახებ. ესაჭიროებათ გადამზადება, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ შემდგომ დასაქმებას. რიგ სოფლებში თვითდასაქმებული ქალებისთვის მწვავედ დგას პროდუქტის რეალიზაციის პრობლემა.³⁶

ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის პროგრამებით 2018-2019 წლებში ისარგებლა 159-მა დევნილმა, მათ შორის, 70-მა ქალმა (44,02%). 2020 წელს 164 დევნილს, მათ შორის, 68 ქალს (41,46%) გადაეცემა მათ მიერ მოთხოვნილი ტექნიკა დანადგარები და პროფესიის შესაბამისი სამუშაო იარაღი.

დადებითად ფასდება ქვეყანაში დაბრუნებული მიგრანტების დახმარება.³⁷ თუმცა მნიშვნელოვანია პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით შეხვედრების გამართვა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაში.

35. მონოდებული ინფორმაციით, თსუ-ს საერთო საცხოვრებლის პირობები არადაამაკმაყოფილებელია, შესაბამისად, სტუდენტები ვერ სარგებლობენ ამ სერვისით.

36. შეხვედრა ქალებთან, სოფელი პერევი, ერგნეთი, ქუბერი.

37. „დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, 2020 წლის 15 ივლისიდან 2020 წლის 1 ოქტომბრამდე მოგვმართა 463 დაბრუნებულმა მიგრანტმა, საიდანაც 270 ქალია, ხოლო - 193 კაცი.

3. კორონავირუსის პანდემიის გავლენა დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და გოგოებს

კორონავირუსის პანდემიამ, დიდი ზიანი მიაყენა მსოფლიოს მოსახლეობას, განსაკუთრებით ქალებსა და გოგოებს. გაიზარდა უმუშევართა მაჩვენებელი, ქალებისთვის საოჯახო საქმეებზე განეული აუნაზღაურებელი შრომის ტვირთი კიდევ უფრო დამძიმდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ვირუსის გავრცელების პერიოდში, მუდმივ მონიტორინგს უწევდა დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების უფლებრივ მდგომარეობას. აპარატმა შეაფასა, თუ რა გავლენა მოახდინა პანდემიამ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ პანდემიის პირობებში დიდი რისკის ქვეშ დადგნენ თვითდასაქმებული ქალები, საოჯახო მეურნეობაში ჩართული და სოფლად მცხოვრები ქალები. ვირუსისგან გამონვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე, პრობლემური გახდა პროდუქტის რეალიზაცია.³⁸ ტრანსპორტის შეზღუდვის შედეგად, შეიქმნა გადაადგილების, მედიკამენტებსა და საკვებზე, მათ შორის ბავშვთა კვებაზე წვდომის პრობლემა, როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე, ასევე მის მიღმა.³⁹ გაიზარდა გოგონათა და ქალთა სიღარიბის მაჩვენებელი.

მოწოდებული ინფორმაციით, მუნიციპალიტეტებმა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დახმარება, პანდემიის შეზღუდვებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ დაიწყეს,⁴⁰ რაც ძირითადად 70 წელს გადაცილებული და სოციალურად დაუცველი პირებისთვის საკვების ერთჯერადი გადაცემით შემოიფარგლებოდა. მუნიციპალური პროგრამები ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა პანდემიის დროს სიღარიბის მძიმე გავლენის შესამცირებლად. მოსახლეობის მედიკამენტებითა თუ საკვებით უზრუნველყოფა კვლავ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურ მუშაობას და თავად მოსახლეობის თანადგომას უკავშირდებოდა.⁴¹

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მონაცემებით, პანდემიის პირობებში 25-დან 40 პროცენტამდე გაიზარდა რეგისტრირებულ ძალადობის შემთხვევათა მაჩვენებელი.⁴² დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაციით, პანდემიის პერიოდში გარკვეულ რეგიონში იმატა ძალადობის შემთხვევებმა, თუმცა კვლავ იკვეთება მოსახლეობაში სტე-

38. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუჟავა; ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩორჩანა.

39. სოფელ ჩორჩანაში კვირაში ერთხელ დადის საკვების მანქანა, შესაბამისად, მოსახლეობა კვირის საკვებს იმარაგებს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შეიქმნა მცირე ჯგუფი, რომელმაც შეძლო მოეგროვებინა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის მედიკამენტები, ბავშვთა კვება, პამპერსი და ჰიგიენის საშუალებები.

40. სოფელ პერევიში - „თავდაპირველად არც პირველად საჭიროებებზე ჰქონდათ წვდომა, არც სადებიზინფექციო საშუალებებზე“. სოფელი ზარდიაანთკარი; სოფელი პერევი.

41. ასოციაციამ „თანხმობა“, ზარდიაანთკარში დაარია საკვები, სადებიზინფექციო ხსნარები და პირბადეები.

42. <https://data.unwomen.org/sites/default/files/documents/COVID19/Infographic-VAW-COVID19-Logo.pdf>

რეოტიპული შეხედულებები, ცნობიერების დაბალი დონე⁴³ და სამართალდამცავ უწყებაში მიმართვიანობის კლება. ამასთანავე, მუნიციპალიტეტში არსებული ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სერვისის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა.⁴⁴

2020 წელს, სახალხო დამცველმა, იმისათვის, რათა შეემონებინა, თუ რამდენად ითვალისწინებდნენ თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები კორონავირუსის პანდემიის საფრთხეებს და რა რეგულაციებს მისდევდნენ დაწესებულებებში ვირუსის პრევენციისა და ბენეფიციართა დასაცავად, მონიტორინგი ჩაატარა ძალადობის მსხვერპლთა დაწესებულებებში.⁴⁵

აღსანიშნავია თავშესაფრების მუშაობა, რომლებმაც დროულად მოახდინეს რეაგირება, თბილისის თავშესაფარი საკარანტინო ზონად გადაკეთდა. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ დაწესებულებაში პანდემიის პერიოდში საგრძნობლად იმატა ფსიქოლოგიური ძალადობის, მათ შორის, პანდემიისას გამოვლენილმა სოციალურმა პრობლემებმა.

კორონავირუსის პანდემიამ სხვა სფეროების მსგავსად, დიდი ზიანი მიაყენა განათლების სისტემასაც. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OECD), 2020 წლის ანგარიშში, კორონავირუსის პანდემიის პერიოდში 98 ქვეყანას შორის საქართველოს მთავრობის მიერ განათლების მიღების პროცესის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეაფასა,⁴⁶ თუმცა განათლების სისტემაში დროული წინ გადადგმული ნაბიჯების მიღმა, კვლავ რჩება ბარიერები განათლებაზე წვდომის მიმართულებით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამართული შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებში, დისტანციური განათლების მიღების შეზღუდვას უკავშირდება.⁴⁷

ციფრული უნარ-ჩვევების სიმწირე	კომპიუტერებსა და ტელეფონებზე წვდომის ნაკლებობა, განსაკუთრებით, მრავალშვილიან ოჯახებში	ინტერნეტზე წვდომის პრობლემა
--------------------------------------	--	------------------------------------

43. ხაშურის გენდერის საბჭოს წევრებთან შეხვედრა - „ძირითადად ფიზიკური ძალადობის შემთხვევებზე ხდება სამართალდამცავ უწყებაში მიმართვიანობა, ხოლო დანარჩენი ძალადობის ფორმები არ არის აღქმული ძალადობად“.

44. ქარელის მუნიციპალიტეტში არ არსებობს ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სერვისის. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში იმატა ოჯახში ძალადობის შემთხვევებმა, თუმცა ცდილობენ დამალონ ძალადობის შემთხვევები, შესაბამისად, შეინიშნება სამართალდამცავ უწყებაში მიმართვიანობის კლება.

45. თავშესაფრებში ჩატარებული მონიტორინგის თარიღები: თბილისი 2020 წლის 18 აგვისტო; ქუთაისი 27 ივლისი, გორი 28 ივლისი; ბათუმი 29 ივლისი. სიღნაღი 19 აგვისტო; კრიზისულ ცენტრებში თბილისი 8 სექტემბერი, გორი 25 აგვისტო, ქუთაისი 26 აგვისტო, ოზურგეთი 27 აგვისტო, მარნეული 10 სექტემბერი.

46. A framework to guide an education response to the COVID-19 Pandemic of 2020; shorturl.at/ikEJ4.

47. ხაშურისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტები.

4. ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების შესრულების შეფასება

ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების მაჩვენებელი
<p>1.1.ა: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით ბაზისი: თავდაცვის სამინისტრო - რიგი დოკუმენტები გენდერულად მგრძობიარეა; შინაგან საქმეთა სამინისტრო - არ აქვს მიზანი: გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტების არსებობა</p>	<p>საქართველოს თავდაცვის სამინისტრო</p> <p>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</p>	<p>100%-ით შესრულდა.⁴⁸ უწყებაში არსებობს სეგრევირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემა.</p> <p>არ შესრულდა.</p>
<p>1.1.ბ: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის რეგულარული მონიტორინგის და შეფასების სისტემის არსებობა ბაზისი: არ არსებობს მიზანი: ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არსებობა და ყოველწლიური მონიტორინგი</p>	<p>საქართველოს თავდაცვის სამინისტრო</p> <p>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</p>	<p>100%-ით შესრულდა.</p> <p>არ შესრულდა. უწყებაში მიმდინარეობს სისტემის შემუშავებასა და დანერგვაზე მუშაობა.⁴⁹</p>
<p>1.1.გ: უსაფრთხოების სექტორში (სამოქალაქო და შეიარაღებულ ძალებში) სქესის ნიშნით სეგრევირებული მონაცემების არსებობა და ხელმისაწვდომობა ბაზისი: არ არსებობს მიზანი: სქესის ნიშნით სეგრევირებულ მონაცემთა ანალიზის სისტემის შექმნა და მონაცემთა პროცენტული მაჩვენებლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა</p>	<p>საქართველოს თავდაცვის სამინისტრო</p> <p>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</p>	<p>100%-ით შესრულდა. დანერგილია მონაცემთა მართვის ახალი სისტემა, რომელიც სეგრევირებას და სტატისტიკური ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.</p> <p>არ შესრულდა.</p>
<p>1.1.დ: გადაწყვეტილების მიღება პოზიციებზე ქალთა პროცენტული რაოდენობა, კაცებთან თანაფარდობით ბაზისი: თავდაცვის სამინისტრო - 32%; შინაგან საქმეთა სამინისტრო - 3% მიზანი: მონაცემების სულ მცირე შენარჩუნება</p>	<p>საქართველოს თავდაცვის სამინისტრო</p> <p>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</p>	<p>100% შესრულდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალები 33%-ს წარმოადგენენ, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროში 6-7% მერყეობს.</p>

48. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი MOD 0 20 01016132; 06.11.2020.

49. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 2 20 02632291; 09.11.2020.

<p>1.2.ა: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებსა და ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმში მონაწილე ქალთა პროცენტული მაჩვენებელი ბაზისი: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში 2017 წელს - 40% ქალი; ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმში - 33% ქალი მიზანი: 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი</p>	<p>საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო</p>	<p>არ შესრულდა.⁵⁰</p> <p>ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი 2018-2020 წლებში 30%-20%-ს შეადგენდა.</p>
<p>1.2.ბ: გადამზადებული ქალების რაოდენობა ბაზისი: 20 მიზანი: 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელია</p>	<p>საქართველოს თავდაცვის სამინისტრო</p>	<p>100%-ით შესრულდა.⁵¹</p> <p>2018 წელს სამოქალაქო ოფისის ქალი წარმომადგენლების 49% საქართველოში გადამზადდა, ხოლო 49% საზღვარგარეთ. 2019 წელს საქართველოში გადამზადდა 8%, საზღვარგარეთ - 25%. 2018 წელს ქალი სამხედრო მოსამსახურეების 1% გადამზადდა საზღვარგარეთ, ხოლო 2019 წელს - 4%.</p>
<p>1.3.ა: ქალთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის ინიციატივების პროცენტული მაჩვენებელი ბაზისი: 2017 წელი - 20% მიზანი: 2020 წელს 20%-იანი ზრდა</p>	<p>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</p>	<p>არ შესრულდა.⁵²</p> <p>2018-2020 წლის განმავლობაში თანხმობა გაიცა 161 პროექტზე, აქედან 22 პროექტი ეხებოდა ქალთა საკითხებს, ან ქალთა ორგანიზაციებმა განახორციელეს.</p>
<p>2.1.ა: ქალებთან, ახალგაზრდებთან და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების გეოგრაფიული არეალი და რაოდენობა, რომლებიც მათი პოლიტიკის შემუშავებისა და მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვის პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს ბაზისი: არ არსებობს მიზანი: წლის განმავლობაში მინიმუმ სამი შეხვედრა</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>ნაწილობრივ შესრულდა.</p> <p>2018 წელს გაიმართა შეხვედრები, დევნილთა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობით.⁵³ 2019-20 წლებში გამართული შეხვედრების შესახებ არ მოგვეწოდა ინფორმაცია.⁵⁴</p>
<p>2.1.ბ: პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნობრივ პროგრამებში ქალებისა და გოგოების მიერ დასმული პრიორიტეტული საკითხების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი ბაზისი: განისაზღვრება 2018 წ.-ს მიზანი: განისაზღვრება 2018 წ.-ს</p>	<p>გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია</p>	<p>არ შესრულდა.</p> <p>საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა.⁵⁵</p>

50. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი №01/28870; 03.11.2020.

51. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილები №MOD 0 19 00570950; 06.06.2019. MOD 0 20 01016132; 06.11.2020. მიმდინარეობს პროგრამების მოძიება და დამუშავება ქალთა სათანადოდ გადასამზადებლად.

52. საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი №1309; 27.10.2020.

53. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი № 01/8142; 07.05.2019.

54. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/14213; 12.11.2020.

55. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი №01/3817' 30.10.2020.

<p>2.2.ა: მოლაპარაკებების პროცესში, შეხვედრების ფორმატის და მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქალთა პრიორიტეტების და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი ბაზისი: 2017 წელი - 70% მიზანი: 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი</p>	<p>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს</p>	<p>ინდიკატორის შესრულების გაზომვა შეუძლებელია. შენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი მწვავედ აყენებდა კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა მიერ შეხვედრების დროს გაუღებულ საკითხებსა და გამოწვევებს (70%-ზე მეტს),⁵⁶ თუმცა რეკომენდაციების გათვალისწინების % მაჩვენებელი ჩვენთვის უცნობია.</p>
<p>3.1.ა: დაკავებული ქალების რაოდენობა და თანაფარდობა კაცებთან გამყოფი ხაზის ე.წ. „უკანონო“ კვეთისას ბაზისი: განისაზღვრება 2018 წ.-ს მიზანი: განისაზღვრება 2018 წ.-ს</p>	<p>სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური</p>	<p>2018 წელს ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით, ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით დააკავეს 19 ქალი, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 1 ქალი. 2019 წელს ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით დააკავეს 9 ქალი, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 3 ქალი. 2020 წლის 1 იანვრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით, ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით დააკავეს 4 ქალი, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 1 ქალი. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, გამოვლენილი უკანონო დაკავების რაოდენობა რეალური ჯამური რიცხვის 10-15%-ს შეადგენს, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგისტრირებული უკანონო დაკავებების რაოდენობის ცდომილება დაახლოებით 5-10%-ის ფარგლებში მერყეობს.⁵⁷</p>
<p>3.1.ბ: გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების არსებობა ბაზისი: არ არსებობს მიზანი: გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების არსებობა წყარო: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური</p>	<p>საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური</p>	<p>არ შესრულდა.⁵⁸</p>

56. საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი №1309; 27.10.2020.

57. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი SSG 0 20 00131691; 23.10.2020.

58. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA 2 20 02531473; 26.10.2020.

<p>3.2.ა: სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირების საკითხებზე გადამზადებული უსაფრთხოების სექტორის, სპეციალური ქვედანაყოფების (მათ შორის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, კრიმინალური პოლიცია), სამშვიდობო ძალების მოსამსახურეების და იურიდიული დახმარების სამსახურის პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი ბაზისი: განისაზღვრება 2018 წ.-ს მიზანი: განისაზღვრება 2018 წ.-ს</p>	<p>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</p> <p>საქართველოს თავდაცვის სამინისტრო</p>	<p>100%-ით შესრულდა.⁵⁹</p> <p>100%-ით შესრულდა.</p>
<p>3.2.ბ: სამხედრო დანაყოფებსა და სამშვიდობო ოპერაციებში გენდერული მრჩევლების რაოდენობა ბაზისი: განისაზღვრება 2018 წ.-ს მიზანი: განისაზღვრება 2018 წ.-ს</p>	<p>საქართველოს თავდაცვის სამინისტრო</p>	<p>100%-ით შესრულდა</p> <p>თავდაცვის სამინისტროში 20 გენდერის მრჩეველია, რომლებიც ახორციელებენ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას უცხადებენ პერსონალს გენდერის საკითხებში.⁶⁰</p>
<p>3.2.გ: კონფლიქტთან დაკავშირებული გენდერული ძალადობის და სექსუალური ძალადობის პრევენციის დოკუმენტებისა და პოლიტიკის ინტეგრირება ოპერაციებში ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს</p>	<p>საქართველოს თავდაცვის სამინისტრო</p>	<p>100%-ით შესრულდა.</p> <p>სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების კურსის გავლა სავალდებულო გახდა ყველა თანამშრომლისთვის. ასევე დაინერგა ელექტრონული კურსი „გენდერული პერსპექტივების ინტეგრაცია ოპერატიული ეფექტურობის გაუმჯობესებისათვის“. ეს კურსი სავალდებულო იქნება მისიაში გადასროლილი ქვედანაყოფის სამხედრო მოსამსახურეებისთვისა და სხვა ოფიცრებისთვის.</p>
<p>3.2.დ: სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე გადანყვეტილებების აღსრულების პროცენტული რაოდენობა ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს</p>	<p>საქართველოს თავდაცვის სამინისტრო</p>	<p>ნაწილობრივ შესრულდა.</p> <p>სამხედრო სადისციპლინო წესდებსა და ემატა შესაბამისი მუხლი, რომლის თანახმად, სექსუალური შევიწროება დისციპლინარულ გადაცდომად მიიჩნევა.</p> <p>მიმდინარეობს მუშაობა დისკრიმინაციის ფაქტების გასაჩივრების მექანიზმების სახელმძღვანელოზე. სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ფაქტები არ გამოვლენილა.⁶¹</p>

59. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი №MIA 2 19 01866817; 16.07.2019. MIA 2 20 02632291; 09.11.2020. 2018 წლიდან დღემდე სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შესაბამის რეაგირებაზე, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყების მხარდაჭერით, გადამზადება გაიარა 1200-მდე პოლიციელმა, ხოლო თავდაცვის სამინისტროში, გადამზადდა 5000-მდე სამხედრო მოსამსახურე - თავდაცვის სამინისტროს წერილი MOD 0 20 01016132; 06.11.2020.

60. თავდაცვის სამინისტროს წერილი MOD 0 20 01016132; 06.11.2020.

61. თავდაცვის სამინისტროს წერილი MOD 0 20 01016132; 06.11.2020.

<p>4.1.ა: ქალთა პროცენტული რაოდენობის ზრდა (კაცებთან თანაფარდობით), რომლებმაც ისარგებლეს სახელმწიფოს უფასო იურიდიული მომსახურებით ბაზისი: 2017 წელს იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება გაენია 1276 დევნილს - საერთო კონსულტაციების და საქმეების 5%. ქალი - 676 კაცი, 600 ქალი. მიზანი: 2020 წლისათვის მაჩვენებლის ზრდა 10%-ით (ქალი 6%; კაცი 4%)</p>	<p>იურიდიული დახმარების სამსახური</p>	<p>100%-ით შესრულდა. იურიდიული კონსულტაციების საერთო რაოდენობიდან, დაახლოებით 62, 15% არის ქალი, ხოლო 36, 94 % კაცი. სულ დევნილი პირი - 2 093, აქედან დევნილი ქალი - 1 353, ხოლო დევნილი კაცი - 740.⁶²</p>
<p>4.2.ა: სახელმწიფო სერვისებით მოსარგებლე ქალების პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით. ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>ინდიკატორის შესრულების გაზომვა შეუძლებელია. მოეწყო შეხვედრები და დისკუსიები სხვადასხვა რეგიონში ფოკუს ჯგუფებთან, თუმცა სახელმწიფო სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა ჩვენთვის უცნობია.⁶³</p>
<p>4.2.ბ: განუვლი სერვისების მოცულობა და გეოგრაფიული არეალი ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>ნაწილობრივ შესრულდა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას, ჯანდაცვის სერვისების შესახებ, ინფორმაცია მიაწოდა სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალმა. 2018 წელს მომზადდა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიმოხილვა აფხაზურ და ოსურ ენებზე და გადაეცათ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს.⁶⁴ 2019-2020 წლების ინფორმაცია უცნობია.</p>
<p>4.2.გ: სოციალური და ჯანდაცვის სერვისებზე ინფორმირებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების პროცენტული მაჩვენებელი ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია</p>	<p>ნაწილობრივ შესრულდა გამართული შეხვედრების მიუხედავად, სერვისებზე ინფორმირებული ქალებისა და გოგოების % მაჩვენებელი უცნობია. ⁶⁵</p>

62. იურიდიული დახმარების სამსახურის წერილი LA 3 20 00023221; 26.10.2020.

63. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/14213; 12.11.2020.

64. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/8142; 07.05.2019.

65. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/14213; 12.11.2020.

<p>5.1.ა: იმ დევნილი ქალებისა და გოგოების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ პროფესიული განათლების, გადამზადებისა და მენარმეობის განვითარების პროგრამებით</p> <p>ბაზისი: პოლიტიკის არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით</p> <p>მიზანი: მინიმუმ 40%</p>	<p>გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია</p>	<p>ნაწილობრივ შესრულდა.⁶⁶</p> <p>2018-2020 წლებში, სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიული განათლების და გადამზადების პროგრამებში ჩაერთო სულ 961 დევნილი, მათ შორის 385 ქალი (40,06%).</p>
<p>5.1.ბ: ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის პროგრამებში დევნილი ქალებისა და გოგოების ჩართულობის პროცენტული რაოდენობა</p> <p>ბაზისი: 40%</p> <p>მიზანი: საბაზისო 40% პროცენტის სულ მცირე შენარჩუნება</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>100%-ით შესრულდა.</p> <p>2018-2019 წლებში, სააგენტოს ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის პროგრამებით ისარგებლა სულ 159-მა დევნილმა, მათ შორის, 70-მა ქალმა (44,02%). 2020 წელს სააგენტოს მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის პროგრამებში გამოვლინდა გამარჯვებულები და შესყიდვის პროცედურების დასრულების შემდეგ 164 დევნილს, მათ შორის, 68 ქალს (41.46%) გადაეცემა მათ მიერ მოთხოვნილი ტექნიკა დანადგარები და პროფესიის შესაბამისი სამუშაო იარაღი.⁶⁷</p>
<p>5.1.გ: ეკონომიკურ/ სოფლის მეურნეობის საგრანტო პროგრამებსა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებში ჩართული კონფლიქტით შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა</p> <p>ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს</p> <p>მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p> <p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p> <p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>ნაწილობრივ შესრულდა.</p> <p>ეკონომიკურ/სოფლის მეურნეობის საგრანტო პროგრამებსა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებში ჩართული კონფლიქტით შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა შეადგენს 45.8%-ს.⁶⁸ თუმცა კვლავ დაბალია მოსახლეობაში ინფორმირებულობა არსებული პროგრამების შესახებ.</p>

66. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი №MES 1 19 00548870; 10.05.2019. 2018 წელს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 522 დევნილი, მათგან 206 ქალია. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი №01/3817; 30.10.2020 - საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამით 2017-2018 სასწავლო წელს დაფინანსდა 1193 სტუდენტი, 2018-2019 სასწავლო წელს 1635 სტუდენტი, ხოლო 2019- 2020 სასწავლო წლის 2408 სტუდენტი.

67. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/14213; 12.11.2020.

68. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი №08/7168; 29.10.2020.

<p>5.1.დ: გარემოს დაცვის საკითხების განხილვის პროცესში ქალთა ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს</p>	<p>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>ნაწილობრივ შესრულდა. გარემოსდაცვით ტრენინგებსა თუ სემინარებში აქტიურად მონაწილეობენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები.⁶⁹ აღსანიშნავია დისტანციური სასწავლო კურსის შემუშავება, გალის 3 სკოლის მოსწავლეებისთვის, რომელიც ეხება გარემოსდაცვით თემებს. თუმცა შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაცია ამ საკითხებზე ინფორმირებულობისა და დაინტერესების ნაკლებობაზე მიანიშნებს.</p>
<p>5.2.ა: დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, ვინც კულტურული და სპორტული პროგრამებით ისარგებლა ბაზისი: განისაზღვრება 2018 წელს მიზანი: განისაზღვრება 2018 წელს</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>ნაწილობრივ შესრულდა. 2018-2020 წლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და გოგონებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მოენახულებინათ მუზეუმები.⁷⁰ თუმცა მწირია სპორტული ოლიმპიადებისა თუ სხვა ჩატარებული სპორტული აქტივობების მაჩვენებელი, განსაკუთრებით, 2020 წელს.</p>
<p>6.1.ა: თბილისსა და რეგიონებში უწყებათაშორისი კომისიის რეგულარული შეხვედრების ოქმების არსებობა ბაზისი: არ არსებობს მიზანი: ოქმების არსებობა</p>	<p>გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია</p>	<p>100% შესრულდა⁷¹</p>
<p>6.1.ბ: ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის არსებობა და გასაჯაროება (ექვს თვეში ერთხელ) ბაზისი: არ არსებობს მიზანი: საჯარო მონიტორინგის ანგარიშის არსებობა</p>	<p>გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია</p>	<p>არ შესრულდა⁷²</p>
<p>6.1.გ: ეროვნული სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის არსებობა და გასაჯაროება ბაზისი: არ არსებობს მიზანი: საჯარო წლიური ანგარიშის არსებობა</p>	<p>გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია</p>	<p>100% შესრულდა⁷³</p>

69. საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი №1309; 27.10.2020.

70. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 8 20 0001037307; 26.10.2020.

71. ამ შეხვედრის ოქმები მისაწვდომია ვებგვერდზე: shorturl.at/imKTU

72. ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მხოლოდ წლიური ანგარიშებია გასაჯაროებული.

73. ანგარიშები მისაწვდომია ვებგვერდზე: <http://myrights.gov.ge/ka/reports/progress%20reports/>

5. რეკომენდაციები

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას:

- სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კონფლიქტით დაზარალებული ქალების ჩართულობით, დროულად შემუშავდეს ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, გაითვალისწინონ კორონავირუსით გამონვეული საფრთხეები და ქალთა წინაშე არსებული საჭიროებები;
- სამოქმედო გეგმის ინდიკატორები შემუშავდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს უწყებების მიერ განეული საქმიანობის გაზომვა;
- აქტიურად ითანამშრომლოს მუნიციპალიტეტებთან, ლოკალიზაციის მიმართულებით პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისთვის ხელის შესაწყობად;
- დროულად დაამტკიცონ სექსუალური ძალადობის მსხვერპლ, კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა რეაბილიტაციის სპეციალური, ამ სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული კონცეფცია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- გენდერულად თანასწორი საკადრო პოლიტიკის დასაგეგმად და განსახორციელებლად, უწყებაში შეიქმნას სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემა;
- დაიგეგმოს ქმედითი ნაბიჯები უწყებაში ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს:

- დაიგეგმოს ქმედითი ნაბიჯები დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სამხედრო ატაშეს პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის ხელშესაწყობად.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს ქალების, მათ შორის, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა სამშვიდობო მოლაპარაკებების ყველა დონეზე;
- აწარმოოს მოლაპარაკებების პროცესში დასახელებული საკითხების მოგვარების სტატისტიკა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს:

- უზრუნველყოს ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების დროული დანერგვა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უწყებაში გამოიყოს კონკრეტული პირი, რომელიც იმუშავებს გენდერული თანასწორობის მიმართულებით და შეიმუშავებს პრიორიტეტებს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების მიმართულებით;

- მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემამ განსაკუთრებული ყურადღება მიმართოს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისკენ, კერძოდ, უწყებამ შეისწავლოს ჯანდაცვის და სოციალურ სერვისებზე მისაწვდომობის ბარიერები და გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ამ ბარიერების აღმოსაფხვრელად;
- შეიმუშაოს პროფილური ჯანდაცვის პროგრამა კონფლიქტით დაზარალებული გოგოებისა და ქალების საჭიროებების გათვალისწინებით;
- არსებულ ამბულატორიებში შეაფასოს ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების საჭიროებები;
- დევნილი და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალებისა და გოგოებისათვის, საჭიროებისამებრ, უზრუნველყოს ფსიქოლოგის მომსახურება;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოს დისტანციური სწავლების ინკლუზიური მეთოდები და გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ქალთა და გოგონათა ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომისა და მათი უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს:

- დაიგეგმოს და განხორციელდეს სპორტული ღონისძიებები ქალებისა და გოგოების სპორტულ ცხოვრებაში კიდევ უფრო ჩასართავად.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს:

- სოფლად მცხოვრებ ქალებსა და გოგოებს, დაგეგმილ შეხვედრებსა თუ სოფლის კრებებზე დასწრების მიზნით, რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია;
- უზრუნველყონ რეგულარული კომუნიკაცია ეროვნული სამოქმედო გეგმის განმახორციელებელ უწყებებთან.

